ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №24

17.03.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი;
7. ანა გოგოლაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074115-03; 15.03.2023);**
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება ,,ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე№ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032306965-03; 10.03.2023);**
3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023);**
5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023);**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023).**

მომხსენებლები:

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074115-03; 15.03.2023):**

ლ.მიქავამ ვრცლად ისაუბრა 2023 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები 1 530,8 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 776 457,6 ათას ლარს. ასევე, პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის, სამგორის რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის, იზრდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნება – 360,8 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა. კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 20 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 638 663,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 578 563,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო 95 678,7 ათასი ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის **(12-0323074115-03; 15.03.2023)** საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 2), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074115-03; 15.03.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება ,,ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032306965-03; 10.03.2023):**

დ.ჯაიანი - განკარგულების პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უნდა მიეცეს თანხმობა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილებაზე.

2019 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, EBRD დათანხმდა თბილისის

მუნიციპალიტეტისათვის 80,000,000 (ოთხმოცი მილიონი ევრო) ოდენობით სესხის გამოყოფაზე, თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსები) რეფორმის მხარდასაჭერად.

ამის შემდგომ, თბილისის მუნიციპალიტეტმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს სთხოვა გარკვეული ტექნიკური დახმარების ღონისძიებების დაფინანსება პროექტის მხარდასაჭერად. აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2022 წლის 2 თებერვალს გაფორმდა N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულება „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსების რეფორმის მხარდაჭერა“. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცა 240,000.00 ევრომდე ოდენობის თანხა EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან გრანტის სახით, კონსულტანტის შერჩევის მიზნით, რომელიც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს თბილისის მუნიციპალიტეტს („საკონსულტაციო მომსახურება“), ავტობუსების რეფორმის მხარდასაჭერად.

2022 წლის 21 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და კომპანია Mott Macdonald CZ-ს შორის გაფორმდა საკონსულტაციო კონტრაქტი 499,937.00 ევროს ოდენობით. თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯებს აანაზღაურებს EBRD, შესაბამისი გრანტის სახით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად, დაგეგმილია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით გრანტის მოცულობის გაზრდა 240,000.00 ევროდან 500,000.00 ევრომდე.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 7, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება ,,ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების

შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032306965-03; 10.03.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023):**

ვ.აბულაძე - 2018 წლიდან დაიწყო რეგულაციების დაწესება მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტისთვის, როგორიცაა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ტაქსების რეფორმა მტკივნეულად არ ასახულიყო მომავალ ნებართვების მფლობელებზე, იგი დაიგეგმა რამდენიმე ეტაპად. 2018 წელს დაწყებულ პირველ ეტაპზე ნებართვა გაიცემოდა ფიზიკურ პირზე, რომელიც აკმაყოფილებდა შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს: ჰქონდა ელექტრონული პირადობის მოწმობა შესაბამისი ელექტრონული ხელმოწერის შესაძლებლობით, შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და იყო M_1 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან ჰქონდა იმავე კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის თანხმობა სატრანსპორტო საშუალების ტაქსად გამოყენებაზე. ხოლო 2019 წელს დაწყებულ ტაქსების რეფორმის მეორე ეტაპზე, დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვები დაიყო ორ კატეგორიად („A" და „B"). „A" კატეგორიის ნებართვა გაიცემა მარცხენასაჭიან სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არის თეთრი და 5 კარიანი, ხოლო „B" კატეგორიის ნებართვა გაიცემა ნებისმიერი ფერის მარცხენასაჭიან სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელსაც აქვს 5 კარი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანის რეფორმა მუდმივად განახლებადი პროცესია, იწყება რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც 2023 წლის პირველი აპრილიდან უნდა შევიდეს ძალაში. რეფორმის შედეგად, ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის

პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით “ერთ პირს - ერთი ნებართვა”, უსასყიდლოდ გადაეცემათ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები, რომლის ამოქმედებისთვის შესაბამის ფიზიკურ პირს 2023 წლის პირველი აპრილიდან 2024 წლის პირველ აპრილამდე შეეძლება ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მომხმარებლის პირადი სივრცის მეშვეობით გაიაქტიუროს „A“ კატეგორიის ნებართვა, ამ ვადის გასვლის შემდეგ მას უწყდება ნებართვის გააქტიურების უფლება და არ ექნება უსასყიდლო ნებართვით სარგებლობის შესაძლებლობა. ამასთანავე, ყალიბდება „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის ახალი წესი. მნიშვნელოვანია, რომ არ იცვლება ნებართვის გაცემის ფასის ოდენობა. კერძოდ, „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასი თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე განისაზღვრება ერთ კალენდარულ დღეში 0,27 ლარის ოდენობით, ხოლო ჰიბრიდული მსუბუქი ავტომობილების შემთხვევაში თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე ერთი კალენდარულ დღეში 0,13 ლარის ოდენობით. ნებართვის გაცემის ფასი ერთ კალენდარულ დღეში განისაზღვრება 3 ლარის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ ნებართვაზე არ არის მიბმული სატრანსპორტო საშუალება ან/და მძღოლი. “A” და “B” კატეგორიების ნებართვის გაცემის ფასის გადახდისგან, 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თავისუფლდება ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის ,,A” კატეგორიის ნებართვაში ნებისმიერი ცვლილების (ნებართვის მფლობელის, უფლებამოსილი მძღოლის და ავტოსატრანსპორტო საშუალების) განხორციელება შესაძლებელია ნებართვის მფლობელის მიერ 20 ლარის გადახდის შემთხვევაში.

არსებული პროცესებიდან გამომდინარე, 2023 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდება სრულიად ახალი, გამართული ელექტრონული სისტემა (www.taxi.tbilisi.gov.ge) და ამ სისტემის განახლების გამო 2023 წლის 20 მარტიდან „A“ კატეგორიის ახალი ნებართვები არ გაიცემა, ხოლო 2023 წლის პირველი აპრილიდან განახლდება ნებართვების გაცემა №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2023 წლის პირველი ივლისიდან დაიწყება იურიდიულ პირებზე ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge „A“ კატეგორიის ნებართვების რეგისტრაცია და მათ მიეცემათ ამ კატეგორიის ნებართვების ფლობის უფლება №24-80 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

მნიშვნელოვანია, რომ სრულიად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით, ხდება ნებართვის მაძიებლის მიერ რეგისტრაციის გავლა და ნებართვის მიღება ან შეძენა. პირს, რომელიც არ არის ნებართვის მფლობელი, შეუძლია დარეგისტრირდეს შესაბამის ელექტრონულ მისამართზე მომხმარებლის პირად სივრცეში „A“ კატეგორიის ნებართვის შეძენის ან სარგებლობაში მიღების მიზნით. ვინაიდან „A“ კატეგორიის ნებართვის მიღების უფლება ფიზიკურ პირებთან ერთად 2023 წლის პირველი ივლისიდან ეძლევათ იურიდიულ პირებსაც, ცალ-ცალკე ყალიბდება ნებართვის მაძიებელი ფიზიკური პირების და იურიდიული პირების მიერ ელექტრონულ მისამართზე პროცედურების გავლის პრინციპები.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, ემატება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მხოლოდ ,,A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილები და პირობები.

წესის მოქმედი რედაქციით, ნებართვის გამცემად განსაზღვრული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი, ხოლო ახალი რედაქციით ნებართვის გამცემად ცალსახად დგინდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე წესში, ტერმინი „ერთიანი საინფორმაციო ბაზა“ ახალი რედაქციით არის მონაცემთა სისტემური ერთობლიობა, რომელზეც წვდომა აქვს ნებართვის გამცემს და სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ პირებს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შეადგინონ საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები. ამასთან, მუხლში, რომელიც ითვალისწინებს კონტროლს სანებართვო პირობების შესრულებაზე დეტალურად არის გაწერილი უფლებამოსილი პირების უფლება-მოვალეობანი.

ამასთანავე, იცვლება დადგენილების სათაური და თავიდან ყალიბდება დადგენილების დანართით დამტკიცებული წესი, სადაც ასევე, იცვლება წესის სათაური.

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. რის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 3, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებ-გვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში.

პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ემატება ორი ახალი სტრუქტურული ერთეული - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური და სანებართვო-ანალიტიკური სამსახური.

დებულებაში ცვლილების განხორციელების საჭიროება დაკავშირებულია საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია)

მგზავრთა გადაყვანის რეფორმის მესამე ეტაპთან. აღნიშნული პროცესის სრულყოფილად ფუნქციონირების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დაემატოს ახალი სტრუქტურული ერთეული - სანებართვო-ანალიტიკური სამსახური, რომლის უფლებამოსილებაც იქნება მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე დაკავშირებულ სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება, საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ამავე სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილება იქნება, როგორც მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანაზე დადგენილი წესის შესაბამისად ნებართვის გაცემა, ამასთანავე სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტოს ემატება კიდევ ერთი ახალი სტრუქტურული ერთეული - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური. აღნიშნული სამსახურის უფლებამოსილებები უკავშირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134^1 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხსენებული მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოებას გზაზე, საგზაო ნაგებობაზე, მიწისქვეშა კომუნიკაციაზე ან რკინიგზის გადასასვლელზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების დროს. დადგენილების წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახურს მიენიჭება როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის 134^1 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება, ასევე, აღნიშნულ თემატიკასთან დაკავავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მართვა.

იმ უფლებამოსილებათა ნაწილს, რომლებიც დადგენილების პროექტის თანახმად, უნდა მიენიჭოს ახალ სტრუქტურულ ერთეულებს, სააგენტოს დებულების დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, ამჟამად ახორციელებენ სააგენტოს უკვე არსებული სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისად, პროექტის თანახმად, ცვლილება შედის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების უფლებამოსილებების

მარეგულირებელ კონკრეტულ პუნქტებში და ამ სტრუქტურულ ერთეულებს გამოაკლდებათ აღნიშნული უფლებამოსილებები.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, დებულების მე-9 მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში სამსახურის უფროსის მოვალეობას, სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შეასრულებს სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 1), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო

საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„საცნობი ნიშნის დაკარგვისას ან დაზიანებისას, მისი აღდგენის თხოვნით სააგენტოს წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით.“ არის შემთხვევები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი), რომელზე გაცემულია საცნობი ნიშანი, ამ ნიშნის გაცემაზე უფლებამოსილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართავს მისივე დაუდევრობით დაზიანებული საცნობი ნიშნის აღდგენის თხოვნით, რის გამოც საჭიროა №33-99 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და დაემატოს დაზიანების შემთხვევები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323074119-03; 15.03.2023):**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში და დადგენილების 3^2 მუხლს, მე-3 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

<u>„3^1.ვადიან სამგზავრო ბარათზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დროის მონაკვეთის მიხედვით დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება“.</u>

კონკრეტულად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-3^2 მუხლით განისაზღვრა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას, ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული მგზავრობის ტარიფების/ფასის გადახდა, მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ გადახდის სხვა საშუალებებთან ერთად, შესაძლებელია ვადიანი სამგზავრო ბარათით, აგრეთვე დადგინდა ვადიანი სამგზავრო ბარათის ღირებულება დროის მონაკვეთის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია შეძენილ ბარათებზე დარიცხული თანხის უკან დაბრუნების მომართვიანობის შემთხვევები, მიზანშეწონილია აღნიშნულ წესში დაფიქსირდეს, რომ მსგავსი ფაქტების არსებობისას დარიცხული თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323074119-03; 15.03.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე